

ცირკულარული ეკონომიკის პროგრამა საქართველოში

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარება

ცირკულარული ეკონომიკის შესახებ ევროკავშირის პოლიტიკას ევროკავშირის ეკონომიკა მიჰყავს ისეთი ეკონომიკური სისტემისკენ, რომელშიც: ბუნებრივი რესურსების ყველაზე ეფექტიანად მოხმარება, მასალებისა და პროდუქციის ღირებულება შენარჩუნებულია მათი წრებრუნვით მოხმარების გზით, ხოლო ეკონომიკური საქმიანობის მავნე ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შემცირებულია. ევროკავშირი ცირკულარულ ეკონომიკას განიხილავს როგორც შესაძლებლობას რესურსებით ღარიბი ევროპისთვის ჰქონდეს წვდომა სასიცოცხლო რესურსებზე, შეინარჩუნოს გლობალურ კონკურენტუნარიანობა და უზრუნველყოს მაღალი ხარისხის გარემო ევროპასა და მსოფლიოში. ცირკულარული ეკონომიკის მიდგომების გამოყენებით შესაძლებელია: სამრეწველო ნარჩენების შეკვცა, საშიში ნივთიერებების წარმოებისა და მათი ზემოქმედების შემცირება, ასევე კლიმატის ცვლილების შერბილებაში წვლილის შეტანა. აღწევს რა ეკონომიკისა და გარემოს ნამდვილ სიმბიოზს, ცირკულარული ეკონომიკა არის გზა, რომელიც გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების გარკვეული ნაწილის მიღწევის საშუალებას იძლევა.

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა წარმოებისა და მოხმარების მეთოდების ძირფესვიან ცვლილებას მოითხოვს. ცირკულარ ეკონომიკაში პროდუქტი იმგვარად იქმნება, რომ იყოს გამძლე, შესაძლებელი იყოს მისი განახლება, შეკეთება და ხელახლა გამოყენება; ამასთან, გათვალისწინებულია მის დასამზადებლად გამოყენებული მასალების ხელახალი გამოყენება მას შემდეგ, რაც ისინი მათი სასიცოცხლო ციკლის ბოლო ეტაპს მიაღწევენ. მოხმარების ფაზაზე პროდუქტები იმგვარად იმართება, რომ მათი მოხმარების ეფექტიანობა მაქსიმალურად გაიზარდოს და მათი ექსპლუატაციის ვადა გახანგრძლივდეს, რითაც მათი ღირებულების შენარჩუნება შეძლებისდაგვარად დიდხანს ხდება. სავარაუდოდ, ამას ის კომპანიები აკეთებენ, რომლებმაც შეიმუშავეს ახალი ბიზნეს-მოდელები, სადაც შემოსავლის მიღება ხდება მომსახურებიდან და არა პროდუქციიდან, ამასთან რესურსების მოხმარება უფრო ეფექტიანად ხდება და/ან სასიცოცხლო ციკლის ბოლო ეტაპზე გადასული პროდუქტები და მასალები ახალ ღირებულებას იძენს. მომხმარებლები კი პროდუქტებს იყენებენ ეფექტიანად და იმგვარად იცილებენ, რომ შესაძლებელი იქნას მათი ხელახალი გამოყენება, ხოლო თუ ასეთი რამ ტექნიკურად შეუძლებელია ან ეკონომიკურად არახელსაყრელია, გადამამუშავებელი ობიექტები მათ გარდაქმნიან მეორად მასალად, რომელიც ახალ საწარმოო ციკლში შეიძლება ჩაეშვას. აღნიშნული საჭიროებს მთელი სისტემის მხარდაჭერას, დაწყებული ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით და დამთავრებული ისეთი საბაზრო სტრუქტურით, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებსა და სხვადასხვა ჯაჭვებს შორის, ასევე მმართველობის ფორმითა და რეგულაციებით, რომლებიც კომპანიებს წახალისებს, ცირკულარული ეკონომიკის მიდგომები მიიღონ ისეთ საზოგადოებრივ ნორმად, სადაც ცირკულარული წარმოება-მოხმარების მოდელი სოციალურად უფრო მისაღებია. ეს პარადიგმა უპირისპირდება წრფივ ეკონომიკას, რომელიც ეფუძნება „აიღე-გააკეთე-გამოიყენე-გადააგდე“ მოდელს. ეს მოდელი წარმოებული და გაყიდული პროდუქციის რაოდენობის მაქსიმუმამდე

გაზრდას ითვალისწინებს, ხოლო მასალების შენარჩუნებაზე აქცენტი არ კეთდება. ასეთი მიდგომის დროს ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა ვერ ხერხდება და მომხმარებლების მიერ გადაყრის კულტურის სტიმულირება ხდება, რასაც გარემოზე მავნე ზემოქმედებამდე მივყავართ.

სხვა სისტემური ცვლილებების მსგავსად, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასასვლელად სისტემის რამდენიმე კომპონენტი ერთდროულად უნდა შეიცვალოს. არსებული წრფივი ეკონომიკური სისტემის ინერცია და წინააღმდეგობა ასეთ გადასვლას ხელს უშლის. აღნიშნულის მისაღწევად დაინტერესებულ მხარეთა არმიის ერთობლივი ქმედებაა საჭირო. ყველა დონის სამთავრობო უწყებებმა, ბიზნეს სექტორმა, გამომგონებლებმა, აკადემიურმა სფერომ, ინვესტორებმა და მომხმარებლებმა ამ პროცესში მკაფიო როლი უნდა ითამაშონ და მას ხელი უნდა შეუწყონ.

ნაკლები ენერგიისა და ნედლეულის გამოყენების შედეგად მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის, ასევე ახალი ტექნოლოგიებისა და პერსპექტიული ბიზნეს მოდელების წყალობით შექმნილი კომერციული შესაძლებლობების გამო, ცირკულარული ეკონომიკით მთელი მსოფლიოს მეწარმეები დაინტერესდნენ. ამ კონტექსტში ბიზნეს ინიციატივისა და პარტნიორობის მრავალი მაგალითი არსებობს, რომლებიც ცირკულარულ ეკონომიკასთან დაკავშირებით სტიმულის მომცემნი არიან. ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლაში ბიზნესის როლი უდავოა. ერთი მხრივ, ახალი და ცირკულარული ბიზნეს მოდელების გარეშე მდგრადი განვითარება შეუძლებელი იქნება; მეორე მხრივ კი, რესურსტევდი 'ჩვეული საქმიანობის' თანმხლები წნეხი გარემოზე ბიზნეს რისკებისა და ხარჯების გაზრდას იწვევს, რაც, საბოლოოდ, საფრთხეს შეუქმნის მოგებასა და განვითარებას. ასე რომ, ცირკულარული ბიზნეს მეთოდების დანერგვა ქვემოქმედება კი არა, არამედ საკმაოდ რთული ბიზნეს პროექტია. ბიზნეს მოდელები იმგვარად უნდა შეიცვალოს, რომ ემსახურებოდნენ „პლანეტის რესურსების ფარგლებში შექმნილ მომავლის ბაზრებს“.

შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) პატრონაჟით დაგეგმილი სატრენინგო პროგრამა მომზადდა ცირკულარული ეკონომიკის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ჯგუფებისათვის რეკომენდაციების მისაწოდებლად. ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი მე-3 კონფერენცია გამიზნულია ბიზნეს საზოგადოებისთვის, რომელიც გარდაქმნის პროცესის ერთ-ერთი საკვანძო ხელშემწყობი მხარეა.